



«სხვა საქართველო ამ არის!..»

ანუ

ქურნალ „ემიგრანტების“ კიდევ ერთი სახეცვლილება...



სანამ გვიამბობთ, რა ვითარებაა ევროპის ქვეყნებში და რა პრობლემები უფრო აწუხებთ ჩვენს თანამემამულეებს, მანამ მინდა გავისინო, როგორ დაიბადა ამ პროექტი „სხვა საქართველო ამ არის!..“

ქურნალ „ემიგრანტების“ დასტურდა „ემიგრანტების“ მასალის მოსაპოვებლად, 2006 წლის დასაწყისში კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპანია „ჯიკომის“ დახმარებით (ამისათვის მადლობას ვუხდით დირექტორს მიხეილ კეკუას) და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვიორჯი წულაძის თანხლებით, რომელიც, სხვათა შორის, ოპერატორის ფუნქციასაც ასრულებდა,

გერმანიის რამდენიმე ქალაქს და მათ შორის, ბილფელდს ვეწვიე. ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელმა ჯიმ შერ ბედინანმა ვილაპარაკა იქაურ ქართველებს შეგვანხვადრა და ქართული სკოლის მეცადინეობებზეც დაგვასწრო. მართლაც საოცარი ერთსულოვნება და მეგობრული ურთიერთობა იგრძნობოდა აქ მცხოვრებ ქართველებს შორის. აქვე უნდა ვთქვა, რომ მსგავსი ერთიანობა და ერთმანეთისადმი მხარში დგომა მხოლოდ ბელგიაში ვხვდები.

ბილფელდის ქართულ საკვირაო სკოლაში კი ქართული ენის, ისტორიის, სიმღერის და ცეკვის გაკვეთილები პარალელურ რეჟიმში ტარდებოდა. ჰოდა, სწორედ სიმღერის გაკვეთილზე, როცა ჩვენი ქართველი პატარები აქ მცხოვრები ქართველი მუსიკოსის, ლია წივიჭაძის დახმარებით „საქართველო ლამაზო“-ს, „თბილისო“-ს, „ალილო“-ს და სხვა ქართულ სიმღერებს მეცადინეობდნენ, მისმარების აუცილებლობა რომ ვიგრძენი, მეორე სმას შევერე. უცებ ჩემს ზურგს უკან, თეთრ დაფაზე შავი ასოებით ქართული წარწერა შევნიშნე: „სხვა საქართველო სად არის?“ რომ წავიკითხე, გონებაში რატომღაც, მაშინვე უნებლად გავეცი პასუხი ამ კითხვას და დაფისკენ შევეტრიალდი. სიტყვა „სად“ წამსულე და დავწერე „აქ“. წარწერა ამიერიდან ასე იკითხებოდა: სხვა საქართველო აქ არის... ანუ ემიგრაციაში. ბავშვებმაც მიიხედეს და ყველას სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

მას შემდეგ მიზნად დავისახე გამეკეთებინა გადაცემა, რომელსაც ასე დავარქმევდი... ეს კი მხოლოდ 2 წლის შემდეგ, ღვთის მადლით, მხოლოდ რადიო „ივერიაში“ განვახორციელე. მაისის ბოლოდან კი ანალოგიური პროექტი უკვე გახდა „რეზონანსშიც“ ხორციელდება.

ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია ეს პატარა საქართველოები და, რა თქმა უნდა, ჩვენი სამშობლოს ანალოგიაც ვერ იქნება. მაგრამ ყველა მათგანში არის საერთო: სიყვარული და მონატრება სამშობლოსადმი, ქართული სიტყვისათვის სამზარეულოსადმი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა, და სწრაფვა სულიერებისადმი. ამიტომაც სწორედ შემთხვევაში მათი თავშეყრის ადგილი ეკლესია და სათვისტომოებია. უცხოეთში გადასვლილი ადამიანების გარეუღლი ნაწილი შეუვლელ გარემოში მოხვედრისას დიდხანს განიცდის ნოსტალგიას და აინტერესებს ყველა წერილმანი ინფორმაცია სამშობლოდან ჩამოსული. ზოგს კი გაუცხოება ემართება და საკუთარ თავში იკეტება. ან ცდილობს გაერიდოს ყველაფერს, რაც სამშობლოსთანაა დაკავშირებული. ბევრი ჩვენი თანამემამულე კი სწორედ ნოსტალგიის გამო სვდება, რომ ღმერთთან სიახლოვე გადაარჩენს და სულიერ სიმშვიდეს ეკლესიაში ეძებს. ამიტომაც გაჩნდა აუცილებლობა საზღვარგარეთ ეკლესიების ოფიციალურად გახსნისა. მანამ კი, სადაც ქართული სამრევლო და ეკლესია არ არის, ქართული მრევლის გარკვეული ნაწილი სერბულ, რუსულ და ბერძნულ ეკლესიებში დადის. ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი უკვე დიდი ხანია ანტიკვების ქართული ეკლესიის მრევლია და მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინ მათ ბანკიდან აღებული კრედიტით ბელგია, ჰოლანდია, გერმანიის საზღვართან, ქალაქ სპაში, „წმინდა მთად“ წოდებულ ადგილზე ქართული მონასტრისათვის მშენიერი შენობა და ლამაზი გარემო შეიძინეს. მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპის ეპარქიიდან ისევე არასახარბიელო ინფორმაციები ისმის. ამის შესახებ ცალკე გავამხვილებთ თქვენს ყურადღებას. თუმცა, გახდა „რეზონანსში“ გასულ წელს ამ თემაზე დაბეჭდილმა სტატიებმა ევროპაში მცხოვრებ ქართველთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მათი აზრით, პრობლემა ეკლესიის კედლებში უნდა მოგვარებულიყო და არ იყო საჭირო მისი პრესით გახმაურება. სამწუხაროდ, პრებლემა ამით არ დასრულდა და ასეა ბრიუსელის მრევლის მსგავსად, ამ ამბის გახმაურებას ანტიკვებისა და ჰოლანდიის ქართველებიც აპირებენ.

ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ საკითხებზე უფრო რეალური და ობიექტური ინფორმაციის წაკითხვა, ან მოსმენა. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში მრავალადაა ოჯახები, საიდანაც ერთი წევრი მაინც ემიგრაციაშია წასული, რათა აქ დარჩენილები გამოკვებოს.

ამიტომ ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი შევიტყოთ მათი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობის შესახებ. ამისათვის კი აუცილებელია როგორც მორალური, ისე მატერიალური მხარდაჭერა, რათა პროექტმა დასახელებული მიზნის მიღწევა არ შეწყვიტოს. ამაში კი განსაკუთრებით გვსურს თანადგომა ვთხოვთ იმ ორგანიზაციებსა და ბიზნესმენებს, რომლებიც არა მარტო საკუთარი საქმიანობის ფართოდ რეკლამირებით, არამედ თანამემამულეების მდგომარეობის შესწავლით და მათთვის სამშობლოდან ნათქვამი საიმედო სიტყვის მიწოდებით არიან დაინტერესებული.

ფიქრობთ, ემიგრაციის პრობლემა ყველა ჩვენთვისაა სადარდებელი და საზრუნავი უნდა იყოს. ამიტომ დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, კონკრეტული წინადადებებით ან სურვილებით შემოგვცემიან. გვერწმუნეთ, მათ ძალიან სჭირდებათ გამხვევა და თანადგომა, რადგან სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა, სამწუხაროდ, ჯერ არც ისე ახლოა...

ნიკო მსოიკი
ქურნალ „ემიგრანტების“ მთავარი რედაქტორი

ამის ნახებარი რომ გგონდეს საქართველოში, ისევ დაგბრუნდებოდი!

ლტოლვილითა განაკში

ნიდერლანდების სამეფოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ლტოლვილთა ბანაკები, ანუ აზულები, ცოტათი მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, ადგილმდებარეობით ან ყოფითი პირობებით. მაგრამ აქ ჩაბარებული ადამიანი იშვიათად შეიძლება ნახოს კმაყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრებისაგან განსხვავებით, რომლებსაც აქედან შეძლებისდაგვარად არჩენენ, მათ მაცივარი მუდამ სავსე აქვთ მენიუში კი არც სორცი აკლიათ და არც ხილი, მაინც უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ მათთვის მიუხედავად შეზღუდვებისა აქვთ დაწესებული და თავისუფლება იმ დროს არა აქვთ, მათ რომ უნდათ.

აქამდე „აზულები“ არასოდეს მენახა. მხოლოდ შორიდან გამეგონა ამბები აქაური ყოფის შესახებ. ამიტომ ევროპაში ვიზიტისას, ჰოლანდიის ერთ-ერთ ქალაქში მცხოვრებ ახლობელ ემიგრანტებს შევეხმიანე და ჩემი სურვილი გავუხსილე. თავიდან კი იუსერსულეს, ვიწროდ ვცხოვრობთ და აქ ისე ვერ ვიმასპინძლებთო. მაგრამ მე ავუსსენი მათ, რომ კომფორტული ლამის ვასათევი ჰოლანდიაში მაგათ გარეშეც მქონდა. მათთან კი სწორედ იმ ვითარების გასაცნობად მინდობა სტუმრობა, რაც „მანაკში“ არსებობს. ბოლოს მასპინძლები დავითანხმე და მათი ბანაკიდან 40-ოდე კი-

ლომეტრით მოშორებული ქალაქის სადგურში დავთქვით შესვლა. ჩემი ემიგრანტი ნაცნობები მშვენიერი ავტომანქანით მოვიდნენ. რომელიღაც, მათი შენაძენი იყო, ცოტა გამიკვირდა. მათ შესახებ მომდევნო ნომერში მოგიხსნობთ, ახლა კი მინდა ერთი ოჯახის ისტორია მოგიყვინო, რომელიც ოსი და ქართველ ეროვნების საქართველოს მოქალაქეებისაგან შედგებოდა. რუსუდანა და მის მეუღლეს დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხვდათ, სანამ ჰოლანდიაში მოხვედებოდნენ და მათი თავდადასავლები ჯერ არ დაამთავრებულა. ისინი ცალკე-ცალკე ჩამოვიდნენ ევროპაში და არც ახლა, როცა უკვე მეორე შეიღობი შეიძინათ, არ იციან, დარჩებიან თუ არა ერთად ჰოლანდიაში, ან როდის დაატოვებენ აქაურობას. ჰოლანდიაში დაბადებული პატარა მარიაში უკვე 6 თვისაა. ყველაფერი კი უკვე დაიწყო.

რუსუდან: საქართველოში არეულობა რომ დაიწყო, ჩემი მეუღლე ბევრჯერ არასახარბიელო ვითარებაში ჩავარდა. ამიტომ საქართველოს დატოვება გადაწყვიტა. მე ფეხმძიმედ დავრჩი. თავდაპირველად ის გერმანიაში იყო. ორი წლის შემდეგ ჩვენც მოვახერხეთ ჩამოსვლა და იქედან ერთად წავედით საფრანგეთში. სწორედ მაშინ ნახა მამამ შვილი პირველად. ბიჭი მაშინ 1 წლის და 4 თვის იყო. მაგრამ ქალაქ ლიონში რომ ჩავედით, ქუჩაში დავრჩით. იქამრამ ქართველებმა გვიჩიეს, გამოსაჩენ ადგილას დავმჯაროყავით, რომ ენახათ, წასასვლელი არსად გვქონ-

და. ღამით კი მათთან ვაფარებდით თავს. 4 დღის შემდეგ დაგვაკმაყოფილეს. მოგვცეს საერთო საცხოვრებელი, რომელიც უკვე სასახლედ მეჩვენებოდა. 2 თვე ვიყავით იქ. მართალი ვითხრაო, ძალიან გამიჭირდა. საქართველოდან სულ სხვანაირად წარმომეგინა საფრანგეთში ცხოვრება. დებრესიაში ჩავვარდი, სულ ვტროდი. მაგრამ ყველაფერს ეგუება ადამიანი. არანაირი საბუთი არ მოგვცეს. დახმარებას მარტო ბავშვს აძლევდნენ, ისიც 100 ევროს ორ თვეში ერთხელ. ჩემი მეუღლე გაადებორტეს. ცოტა ხანი ციხეშიც მოუწია ყოფნამ. სამშობლოში დაბრუნებაზე რომ უარი თქვა, კრიმინალურ საპატიმროში გადაიყვანეს. მაგრამ საქართველოში მაინც რომ დაბრუნდეს, ორი თვეც ვერ გადამდა და ისევე ევროპაში წამოვიდა. ოლონდ ფენით მოუწია ჩამოსვლამ და რამდენს იწვალბება, სომ არმოგიდგინათ?!

ამის შემდეგ იძულებული გავხდით, ჰოლანდიაში ჩამოვსულიყავით. მართალია, აქაურ ბანაკებში ლოდინი არ გჭირდება, რა დროსაც უნდა მიხვიდე, მაშინვე გაძლევენ დროებით თავშესაფარს მაინც. მაგრამ საფრანგეთი აქაურობასთან შედარებით სამოთხედ მეჩვენება. 50 დღე მოგვიწია იმ დროებით თავშესაფარში ცხოვრებამ. ფაქტობრივად, ჩაკეტული სიმრცეში ვცხოვრობდით, როგორც ციხეში. გარეთ თუ გახვდები, იმ საბუთის გარეშე არ შეგიშვებენ, რომელზეც წერია, რომ აქ იკვებები. ყოველ დამე ბანაკში უნდა იყო. მაღაზია 5 კილომეტრზეა დაშორებული. ამ პერიოდში რამდენჯერმე დაგვიბარეს ინტერ-



ვიუხე, ანუ გამოკითხვაზე- რატომ ჩამოხვედი? და ასე შემდეგ.

შემდეგ აქ დაამოვიყვანეს. აქ, რა თქმა უნდა, უკეთესი პირობებია. სხვათა შორის, იმაზე ბევრად უკეთესი არაა საფრანგეთში იყო. მე უკვე არააღელვებულად ვცხოვრობ. აქ ასეთი კანონებია: რადგანაც მე ბავშვიანად ვიყავი ჩაბარებული საფრანგეთში, ჰოლანდიაში შეკითხვა გაუეზანა საფრანგეთს და როგორც მიხსრეს, 22 აპრილს ბავშვიანად უნდა დაბრუნებულიყავი ლიონში. მე წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჩემს ქმარს არ იღებენ. ის ხომ გაადებორტეს?

მაგრამ 22 აპრილი რომ გავიდა?

გავიდა, მაგრამ ეს ჩემი ადვოკატის დაშასხურებაა. მან ისეთი პროცედურა წამოიწყო, რომ დრო გადა-

ვადებულიყო. თუმცა, როდის დაგვაშორებენ ერთმანეთს, არ ვიცი. გადებორტების მიზეზი კი ის იყო, რომ საფრანგეთმა ჩვენი მოტივი შენობის კონვენციის შესაბამისად არ ჩათვალა. ძალიან ბევრი ქართველი იყო ლიონში. იმათ მაგალითზე, ნამდვილად ვერ მივხვდი, რა პრინციპით აძლევენ ადამიანებს თავშესაფარს და რა პრინციპით უშენებენ უარს. მე ოსი ვარ, ჩემი მეუღლე ქართველი. საბუთები-თაც დაგამტკიცეთ ეს. მაგრამ დღემდე ვერ ვხვდები, ჩვენ რა პრინციპით არ დაგვაკმაყოფილეს. ალბათ გაანია, ვის როგორი ბედი აქვს და ვის გაუშარბლებს ინტერვიუს დროს.

(დასასრული)

—აქაც აქვს ამას მნიშვნელო-
ბა, ვინ რა თვალთშეშვებდა?
—კი, მე ასე მგონია. აბა, სხვებს
მისცეს და ჩვენ არა. სიტუაცია კი
ერთნაირი გვექნება.

—მაგრამ თუ ოჯახის დაშ-
ლას მოითხოვენ, ორივე შვი-
ლით უნდა დაბრუნდეთ საფ-
რანგეთში? მარამი სომ აქ,
ჰოლანდიაშია დაბადებული?

—მეც ეს კითხვა დაგვიკითხა
ემიგრაციო პოლიციაში. საფრან-
გეთი მე და ჩემს უფროს შვილს
გვთხოვდა. და იცით, რა მითხ-
რეს? რას ფიქრობ, დატოვებთ
შვილსო? მეც შევუბრუნე კითხ-
ვა, როგორ ფიქრობთ, დატოვებ-
მეთქი? ჰო, მაშინ წაიყვანეთ. მაგ-
რამ მე აქედან მინდა ვიცოდე, მი-
მიღებს საფრანგეთი უმცროსი შვი-
ლით? მეუბნებიან, რომ მათი აზ-
რით, ბავშვი დედასთან უნდა იყოს
და ამდენად, ეს პრობლემა არ უნ-
და შეიქმნას. ჩვენი ჰოლანდიელი
ადვოკატიც აღმოჩნდა, რომ ჩვე-
ნი მდგომარეობით, ადამიანები-
სადმი ასეთი გულგრილი დამოკი-
დებულებით და ბევრს ცდილობს,
რომ რამენაირად დაგვეხმაროს.
სტრასბურგშიც გაასაჩივრა ჩვენი
საქმე და იმედი აქვს, რომ გაიმარ-
ჯვებს. მაგრამ არც ეს სასამარ-
თლო მხდის ლეგალურს. იმასაც
მიზნავს მემკვიდრეობის, რომ შე-
საძლოა, საფრანგეთში სადეპორ-
ტო განყოფილებაში ჩაგვკეტონ და
მერე საქართველოში გაგვავა-
ნონ. თუმცა, ადვოკატი დარწმუნ-
ებულადაა, რომ ორი ბავშვით საფ-
რანგეთი ქუჩაში არ დაგვტოვებს
და ჩვენს საქმესაც თავიდან განი-
ხილავენ, რომ ოჯახი ისევ გა-
თლიანდეს. მეც ამის იმედი მაქვს.
ამიტომ წინასწარ მინდა საფრან-
გეთში ადვოკატს დავეკავშირდე,
რომ დახსლოებით მაინც ვიცოდე,
რა მელის იქ ჩასვლის შემდეგ.

—რამდენი წელია ასე წვა-
ლობა?

—უკვე 5 წელია.
—და ამ წინს მანძილზე, რო-
გორ ჩანს, არაფერი შეიცვალა-
ლა თქვენს ცხოვრებაში, რომ
ან აქ დაამკვიდრებულყავით,
ან დაგეყარათ ფარ-სმალი და
გეთქვათ, დაბრუნდეთ საქარ-
თველოში. ამ არჩევანის წი-
ნაში არ დამდგარსარა?

—როგორ არა, როცა ჩემი მეუღ-
ლე საქართველოში გადავბრუნ-
დით, სწორედ მაშინ დავდექი ამ არჩე-
ვის წინაშე. მაშინ სამი წელი იყო
გასული, რაც ემიგრაციაში ვიყავით
და მიუხედავად იმისა, მქონდა, თუ
არა სახსრები საქართველოში და-
საბრუნებლად, არ დავტყუებდი, ისე
გამიჭირდა ამ პატარა ბავშვით ვარ-

ამის ნახებარი რომ გვქონდეს საქართველოში, ისევ დაგვბრუნდებოდით!



ჰოლანდიის აზულში (ბანაკში) დაბადებული მარამი

ტო დარჩენა. ორი თვე ნოვოვლ დღე
ვამბობდი, მივდოვარ-მეთქი. მაგ-
რამ ამასობაში ჩემმა ქმარმა ვერ
გაძლო და დამირეკა, რაკი შენ ვერ
ჩერდები, იცოდე, მე ისევ მოვდი-
ვარ და თუ უჩემოდ გაძლებ, დაბ-
რუნდი საქართველოში. ამიტომ
ისევ დავრჩი და დაველოდე საფ-
რანგეთში. ფეხით სომ იარა და იტა-
ლიიდან საფრანგეთამდე საერთოდ
უფულოდ ჩამოვიდა.

—მე რომ ვიყო საერთაშო-
რისო ორგანიზაციების წარმო-
მადგენელი, ვისაც სწავლიდათ
ამ საკითხების გადაწყვეტა, ვი-
კითხავდი, რა ხდება ასეთი სა-
ქართველოში, რომ ადამიანები
გადეპორტდებიან შემდეგ უფუ-
ლოდ, ფეხით გამოიბიან იქი-
დან... თქვენ თუ გეკითხებიან,
ასე ძალიან რატომ არ გინდათ
საქართველოში ცხოვრება და
თუ გაქვთ ამასზე პასუხი?

—საფრანგეთის სასამართლოზე
მე თვითონ დავსვი ეს საკითხი. მე
ვუთხარი მათ, რომ საქართველოში
ლტოლვილებად დაბადებულნი არ
არიან და მათთვის იძულებულია სა-

ქართველოდან გადახვეწა. თორემ
ემიგრაცია არავის არ სიამოვნებს.
სწორედ ამიტომ ვკითხე, რატომ
არ ინტერესდებოდნენ ჩვენი მდგო-
მარეობით. ისიც ვუთხარი, რომ
ჩვენ გვიჩვენებია ერთი ლუკმა პუ-
რი გვექონდეს და საქართველოში
ვიცხოვროთ, ვიდრე ყოველ ფეხის
ნაბიჯზე გვაგარძნობინონ, რომ
ემიგრანტი ხარ. ამას ჰოლანდიაში
უფრო ვგრძნობთ. ასეთი პასუხი
გავცეცხე, რომ საქართველოში მხო-
ლოდ სამუშაო არ იშოვება და ფუ-
ლი, თორემ სხვა პრობლემა არ
არის. ეს კი თქვენი ქვეყნის საზ-
რუნავია და არა ჩვენიო. აქაც არ
გვაძლევენ მუშაობის უფლებას.
მაგრამ აქ, სამაგიეროდ, გვარჩე-
ვენ. და ჩვენც ვცდილობთ, შავად
ვიმუშაოთ, რომ საქართველო-
შიც ვაჩრჩინოთ ოჯახები.

—საქართველოშიც ასე
რომ გარჩენდნენ, ალბათ არ
გაჩერდებოდით აქ..

—რა თქმა უნდა, სულ იმას
ვამბობ, დაიწვას ის დღე, ევროპა-
ში რომ ჩამოვდებით-მეთქი. ამის
ნახევარი შესაძლებლობა რომ

გვექონდეს საქართველოში, ერთი
წუთითაც არ დავფიქრებდით.
ამდენი წელია აქეთ ვარ და ერთი
ადმინი არ მინახავს, რომელიც
სამუდამოდაა ჩამოსული და უკან
დაბრუნებაზე არ ფიქრობს. ახალ-
ჩამოსულებს ვეულისხმობ, თუმ-
ცა, არც ძველებს ეგონათ, რომ
ამდენ წანს დაჩრებოდნენ. ყველა
ქართველი იმ იმედით ცხოვრობს
აქ, რომ მალე მოვა საქართველო-
ში უკეთესი ცხოვრება, აუცილებ-
ლად დაგვბრუნდებით უკან.

—მეც ბევრი
მინახავს ასეთი განწყობით.

—ამას ვერ ვიტყვი სხვა ქვეყ-
ნიდან ჩამოსულებზე. ქართველე-
ბისაგან განსხვავებით, სხვა
ეროვნების ადამიანებს, ვინც აქ ჩა-
მოდის, არც ერთს არ უნდა უკან
დაბრუნება. სომხებს რომ ვხვდები,
ვეუბნები, თქვენ ერთი მიმართუ-
ლებით გაქვთ ბილეთი აღებული,
ჩვენგან განსხვავებით-მეთქი. მაგ-
რამ ერთი რამ მიკვირს, საქართვე-
ლოში ხალხი უკვე გაძლავდება,
ეტყობა. მაშინდამ დამირეკა და რომ
მკითხა, როგორ ხართო, მე ვუთხარი,

რომ ძალიან მენატრება საქართვე-
ლო და თქვენთან მინდა ვიყო-მეთ-
ქი. „რას ამბობ, შვილო, ღმერთმა
დაგეფაროს, აქ რომ იყო, ნუტა ჩემი
შვილებიც მანდ იყვნენ“-ო. მე
ვუთხარი, რომ აქ ძალიან ძნელია
ცხოვრება. ვერ გამოვიღო და დამე-
ღურა.

—არ მიკვირს. ნათქვამია,
კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვარ-
თო. ბევრისგან გამიგია, რომ ნა-
თესავეს არ ესმით, როგორ
უჭირთ ემგრაციაში თავის რჩე-
ნაც და ოჯახისთვის ფულის და-
ზოგვაც. თუმცა თქვენს ახლობ-
ლებზე უკეთ რომ ცხოვრობთ,
სომ ფაქტია?! მაგრამ ბევრის-
გან გამიგია, რომ მატერიალუ-
რი კეთილდღეობის გაუმჯო-
ბესეზთან ერთად, სულიერე-
ბის პრობლემა ჩნდება. თქვენ
თუ დადისართ ეკლესიაში?

—სამწუხაროდ, აქ არ არის ქარ-
თული ეკლესია. სხვები კი ასერხე-
ბენ ბელგიაში გადასვლას და იქ
ქართულ ეკლესიაში დადიან. მაგ-
რამ ესეც რისკთანაა დაკავშირე-
ბული. უსაბუთოდ ასე შორ მან-
ძილზე გადაადგილება ძალიან სა-
შიშია, თან პატარა ბავშვით, ძნე-
ლია. ლონშიც არ იყო ქართული,
მაგრამ რუსული, მართლმადიდებ-
ლური ეკლესია იყო და შეძლების-
დაგვარად დავდიოდით. თან აქ გა-
ფანტულები არიან ქართველები და
ამიტომაც არ მოხერხდა ეკლესიის
გახსნა. თორემ რომ იყოს, კარგი
იქნებოდა. ჩემი ლუკა ძალიან პა-
ტარა იყო, საფრანგეთში რომ დამ-
ყავდა საზიარებლად. სიხარულით
უყვებოდა ჩვენებს ტელეფონით,
როგორი ბედნიერი იყო, ზიარება
რომ მიიღო. სხვათა შორის, მისი
ერთი ნათლიაც აქ არის, ჰოლანდი-
აში.

—მე მაინც იმ საკითხს მინდა
დავუბრუნდე, რითიც დავიწყეთ
საუბარი, თუ მაინც მოგწევთ
დაბრუნება საქართველოში ჩვე-
ლა ერთად წავსვალ და ისევ ეც-
დებით ემიგრაციაში წამოსვლას?

—ახლა დიდი ოჯახი ვართ და
ისევ აქვე წამოსვლას, რა თქმა
უნდა, ვერ შევძლებთ. ეს დიდ
თანხებთან იქნება დაკავშირებუ-
ლი და ამდენი თანხა რომ გვექონ-
დეს, ემიგრაციაში რა გვიწევდა? ამი-
ტომ ჯერჯერობით აქ ბოლომდე
ვიბრძობები, რომ საბოლოო მქონ-
დეს და საქართველოში წელიწად-
ში ერთხელ მაინც ჩავივდე. სიხა-
რული წავიდოდი საქართველო-
ში, მაგრამ სომ ვიცით, რომ ჯერ
ჩვენთვის აქ ჯობია ყოფნა. მაინც
ღმერთის იმედი მაქვს და მას მი-
ვებნობი. რასაც ღმერთი იხებებს,
მეც იმას დაგვამორჩილებს.

ნიკო მსოიკა

საქართველოში შეგვარებული, მოჭირნახული მბრძოლი მთავრობისა და ემიგრანტისა

ისტორიული პარალელი

ჩვენი ჩანართის პირველ და
მეორე ნომრებში რუბრიკაში „ის-
ტორიული პარალელი“ ერის-
კაცად შერაცხული ღვთისკაცის,
ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ
გვსაუბრებ. დღეს კი მოვითხ-
რობთ, ექვთიმეს უახლოეს მეგობ-
რებს და საქართველოს დიდ მო-
ამავეს, იოსებ ელივულაშვილზე.
მისი მოღვაწეობა კიდევ ერთი ნა-
თელი მაგალითია ქართველი ებ-
რაელების ერთგულებისა და თავ-
დადებისა ჩვენი საერთო სამშო-
ლოს წინაშე. ამის შესახებ ექვთი-
მე თაყაიშვილის საზოგადოების
თავმჯდომარე, ისტორიის მეც-
ნიერებთან დაქვემდებარებული,
პროფესორი ნელი ჩაფიძე გვიამბობს.

ქართულ-ებრაული ურთიერთო-
ბა ის უნიკალური და, იმავდროულად,
ბედნიერი შემთხვევაა, რომელიც 26
საუკუნის ითვლის და დღევანდელი
მსოფლიოსათვის ეტალონად შეიძ-
ლება გამოვსვას. ეს ორი ერთობა-
ნეთის გვერდით სომ მუდამ კეთი-
ლგანწყობით ცხოვრობდა, შრომობ-
და, მოღვაწეობდა და დღესაც ავრძე-
ლებს ურთიერთ კეთილგანწყობას.
ქართველ ებრაელთა სპეციფიკა და
ხნიობრივი სახე ცალკე საუბრის თე-

მაა. ამიტომ, სანამ უშუალოდ იოსებ
ელივულაშვილის მოღვაწეობაზე გი-
ვამბობთ, მინდა ერთი ძველი, მეტად
ამაღლებული ამბავი გავიხსენო:
მე-17 საუკუნეში, როცა ახალციხეს
მტერი მოადგა, ათაბაგთან მივიდა
ებრაელთა სახელდასტოდ შექმნი-
ლი რაზმი და ომში მონაწილეობის
სურვილი გამოთქვა. ათაბაგისაგან კი
ასეთი პასუხი მიიღო: „თქვენი თავი
სხვა, უფრო მნიშვნელოვან საქმეში
მჭირდება და არ მინდა მტერს შეაწყ-
დეთ“-ო. ებრაელებმა ეს ბრძანება
შეურაცხყოფად მიიღეს და ათაბაგს
მოახსენეს: „როგორ, ბატონო, ჩვენს
სახლ-კარს რომ მტერი დაესხას, ჩვენ
არ უნდა დავიცვათ ჩვენი თავი? ჩვენ
სომ კაცნი ვართ. მართალია, ებრა-
ელი გახლავართ, საქართველოში
ვცხოვრობთ და ჩვენც ვალი გვაქვს
ამ ქვეყნის წინაშე.“ ასეთ შემთხვევას
მათავად ვხვდებით ჩვენი ისტორი-
აში, როცა ქართველი ებრაელობა
თავს არ ზოგავდა საერთო მტრის
წინააღმდეგ. ქართულ-ებრაული ურ-
თიერთობა ამიტომაც არის ერთნა-
ირად ასაამაყო ორივე ერისათვის.
რაც შეეხება უშუალოდ იოსებ
ელივულაშვილს, ალბათ ცოტათი თუ
იცის საქართველოში, განსაკუთრე-
ბით ახალგაზრდობამ, რომ საქარ-
თველოს მეჭურჭლეთუხუცესს, ამ-

ჟამად წინდანად შერაცხულ ექვთი-
მე თაყაიშვილს, ივანე ჯავახიშვი-
ლის უშუალო დავალებით, 1921 წელს
ემიგრაციაში ჩვენი ეროვნული გან-
ძის საფრანგეთში გასატანად მცვე-
ლად მოიწერ პიროვნება გააყოლეს.

იოსებმა დაიბადა და აღიზარდა
ქუთაისში, მდიდარი ქართველი ებ-
რაელის, არონ ელივულაშვილის
ოჯახში. იგი პირველი გილიდის ვა-
ჭარი იყო და ცნობილი ქვემოქმე-
დიც გახლდა. იოსებმა ოქროს მე-
დალზე დაამთავრა ქუთაისის რე-
ალური სასწავლებელი და ჩაება სო-
ციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

მონაწილეობდა 1905 წლის რევო-
ლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც
დაპატიმრებულიც იყო. 1916 წელს
მან დაამთავრა მოსკოვის კომერცი-
ული ინსტიტუტი და, მიუხედავად
იმისა, იქ დარჩენა შესთავაზეს, მან
უარი თქვა შემთავაზებულ წინა-
დადებაზე, დაბრუნდა საქართველო-
ში და აქტიურად ჩაება სოციალ-
დემოკრატიულ მოძრაობაში, რისი
ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაც
განდა. პირველი დემოკრატიული
მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა-
მრეწველობის მინისტრმა კონსტან-
ტინე კანდელაკმა იგი მის მოადგი-
ლედ დანიშნა, როგორც სანდო, საქ-
მიანი და ნიჭიერი პიროვნება. ამი-

ეროდან იწყება იოსებ ელივულაშვი-
ლის მოღვაწეობა საქართველოს გან-
საზღვრული სახალხო მუხრნობის
აღსაღვანად. იგი თავდადებით მუშა-
ობდა უცხოეთთან სამეურნეო კავში-
რების დასამყარებლად და ინვესტი-
ციების მოსაზიდად. სწორედ მაშინ,
1919 წელს სწავლიდა საქართველოს
მეორე ინტერნაციონალის ცნობილი
ბელადები: კაცუცი, მაკონალი, ვან-
დერვალდე, სნოული და სხვები, რომ-
ლებსაც იგი საქართველოს მთავრო-
ბის სახელით თან ახლდა ამ მოგზა-
ურობისას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ელივუ-
ლაშვილი ერთ-ერთი პიროვნება იყო
მოშედავარაშვილთან და ილია გოლ-
დმანთან ერთად, რომელიც მონაწი-
ლეობდა 1919 წლის 12 მარტის დამო-
უკიდებელი საქართველოს დამფუ-
ნებელი კრების მომზადებაში. მათ სე-
ლი მოაწერეს 1918 წლის 26 მაისს
გამოცხადებულ საქართველოს და-
მოუკიდებლობის აქტს.

იოსებ ელივულაშვილი ქართუ-
ლი ეროვნული საბჭოს წევრი, უცხო-
ეთში გადასვლილ ქართველ ებრა-
ელთა ასოციაციის თავმჯდომარეს.
სი უშუალოდ ესმარებოდა ქართვე-
ლებს ებრაელებს საკვებით მომარა-
გების საკითხის მოგვარებაში. ომის
დროს მთელი ებრაელობა სწორედ

იოსებთან იკრიბებოდა. იგი დიდი ავ-
ტორიტეტით სარგებლობდა საერთა-
შორისო მასშტაბით. შეუძლებელია,
აღვლევების გარეშე გავიხსენო მისი
სიტყვები: „ბევრი ქართველი და-
ვესმარა მეორე მსოფლიო ომის დროს.
ამას ებრაელები ვერ დავივიწყებთ.
მაგრამ ყველაზე მეტად ის ქართვე-
ლი დავგვხმარა, რომელსაც საქარ-
თველოს ისტორია ჰქვია“.

ემიგრაციაში იოსებმა საკუთარი სახ-
სრებით იძინდა და ავროვებდა მსოფლი-
ოში მიმოხვეულ ქართულ საგანძურს,
საკულეო ნივთებს. მან ასევე დიდი
წვლილი შეიტანა დამოუკიდებელი
მთავრობის ემიგრაციაში გადასვლის
შემდეგ, 1922 წელს, პარიზის ახლოს,
ლევილი ორსართულიანი სასახლის
(ფრანგულად „მატო“) შექმნაში.

ძნელია, მოკლედ ისაუბრო ამ ღვაწ-
ლმოსილი ადმინის როლზე საქარ-
თველოს წინაშე. ექვთიმე თაყაიშვი-
ლის საზოგადოებას ემხროებოდა ლონის-
ძიების, სამეცნიერო კონფერენციის,
საღამოების გამართვა აქვს დაგეგმი-
ლი. მით უმეტეს, ეს წელი ექვთიმეს
წლად გამოცხადებული. სოლო ფილ-
მში, რომელიც ექვთიმეს ცხოვრებასა
და მოღვაწეობას შეეხება, იოსებ ელი-
ვულაშვილის იქნება წარმოდგენილი.
ახლა ვეძებთ ამ როლისათვის
შესაფერის კანდიდატურას.

სულთმოფენობა



დღეს, 15 ივნისს, ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე და მისი ზეცად ამალღებიდან მეათე დღეს, მართლმადიდებელი ეკლესია სულიწმინდის გარდამოსვლის ანუ სულთმოფენობის დღესასწაულს ზეიმობს.

უფალი იესო ქრისტე ენებამდე, მოწაფეებთან საუბრისას ჰპირდება მათ სულიწმინდის, ნუგეშისმცემლის გამოგზავნას, რომელიც მათთან დარჩება საუკუნოდ. ჰპირდება სულს ჭეშმარიტებისას, რომელიც ყველაფერს ასწავლის და გაასხენებს, რასაც თავად უფალი ეუბნებოდა მათ. ამალღებიდან მეათე დღეს, პირობისამებრ, გადმოვიდა მოწაფეებზე სულიწმინდა ცეცხლის ენების სახით. ამ მოვლენით დაიწყო ეკლესიის ცხოვრება და წიგნი „საქმე მოციქულთაჲ არის სულიწმინდისა და ეკლესიის შესახებ“.

იესო ქრისტეს მკვდრებით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს მოციქულები ღვთისმშობელთან და უფლის სხვა მოწაფეებთან ერთად, მოციქულ მარკოზ იოანეს სახლში, იერუსალიმში, სიონის მთაზე იყვნენ შეკრებილნი, ლოცვის დროს მათზე გადმოვიდა სულიწმინდა, ამ დროს ციდან რაღაც ძლიერი ქროლის მსგავსი ხმაური მოისმა, რამაც მთელი სახლი აავსო. სულიწმინდა ხილულად, ცეცხლოვანი ენების სახით გადმოვიდა და თითოეულ მოწაფეს თავზე დაადგა. ყველანი სულიწმინდის მადლით აღივსნენ და მათთვის უცნობ ენებზე იწყეს დიდება უფლისა.

იმ დროისათვის, როცა ეს სასწაული მოხდა, იერუსალიმში უამრავი ხალხი იყო ჩასული სხვადასხვა ქვეყნიდან. ციდან წამოსულმა უცნაურმა ხმამ ხალხი იმ სახლთან შეყარა, სადაც მოციქულები იყვნენ შეკრებილნი. აქამდე ქრისტეს

მოწაფეები შიშით იყვნენ შეპყრობილნი, ახლა კი, როდესაც სულიწმინდის მადლით აღივსნენ, უშიშრად გამოვიდნენ ხალხის წინაშე და სხვადასხვა ენაზე ამეტყველებულბმა იწყეს ღვთის დიდება. ყოველი კაცი მშობლიურ ენაზე ისმენდა მოციქულთა სიტყვას და განცვიფრებული კითხულობდა; ესენი ხომ გალილეელები არიან და როგორღა ვისმენთ თითოეული ჩვენგანი ჩვენს ენაზე დიდებას ღვთისას? ზოგიერთი მათგანი იმასაც კი ამბობდა დაცინვით, - დამთვრალანო. ამის საპასუხოდ პეტრე მოციქულმა აღიმაღლა ხმა და მიმართა შეკრებილთ, რომ ისინი სულაც არ იყვნენ მთვრალბიჯიერ ხომ მსოფლიო დიდის ცხრა საათი იყო. პეტრე მოციქულმა სულიწმინდისაგან მიმადლებული ძალით წარმოთქმულ ქადაგებაში ფსალმუნის სიტყვების მოშველიებით, დაამტკიცა აღდგომის ჭეშმარიტება, მისი ზეცად ამალღება, რომლის უახლესი მოწმობაც სულიწმინდის გარდამოსვლა იყო. მოციქულმა მოუწოდა იქ მყოფ ადამიანებს, რომ ცოდვათა მისატყვევებლად იესო ქრისტეს სახელით მონათლულიყვნენ და ამ გზით მიეღოთ მადლი სულიწმინდისა. იმ დროს ბევრმა სისხარულით შეიწყნარა მოციქულის სიტყვა და ნათელი იყო. მონათლულთა რიცხვმა სამი ათასს მიაღწია. სწორედ ამ დღეს წარმოიშვა მართლმადიდებლური ეკლესია, რადგან შეიქმნა მართლმორწმუნეთა, ქრისტეს მორწმუნეთა კრებული. სიონის მთაზე მდებარე მარკოზ იოანეს სახლი იყო პირველი ტაძარი ახალი აღთქმის ეკლესიისა, ხოლო შვიდი ათასი მოციქული საყოველთაო, მსოფლიო ეკლესიის პირველ თემს წარმოადგენდა. წმიდა ირინეოს ლი-

ონელი ეკლესიის შესახებ წერს: „ვიცნე გამოვეყოფა ეკლესიას, ის თვითონ სჯის თავის თავს. პავლე მოციქული: „სადაც ეკლესიაა - იქ არის სულიწმინდაც... ამიტომ ვისაც ეკლესიასთან წილი არა აქვს, იგი არ საზრდოობს ქრისტეს სხეულიდან მომდინარე უწმიდესი წყაროდან, რომელიც გვაზიარებს მარადიულ ცხოვრებას.“

მოციქულთა დროიდან სულთმოფენობა ყოველწლიურად დღესასწაულდება. მეოთხე საუკუნის ეკლესიის ცნობილი ისტორიკოსი ევსები კესარიელი სულთმოფენობას უწოდებს უდიდესს და უწმიდესს, დღესასწაულთა შორის. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი კი ამბობს: „ჩვენ ვდღესასწაულობთ სულიწმინდის გარდამოსვლას, როგორც აღსრულებას აღთქმისას, აღსრულებას იმედებისას, ვზეიმობთ დიდსა და ღირსეულ დღესასწაულს.“

მართლმადიდებელი ქრისტიანები სულიწმინდის მოფენის დღეს, საზეიმო წირვისას ტაძრებს ხის მწვანე რტოებით, ბალახებითა და ყვავილებით რთავენ. წირვის უამს ხელში უჭირავთ ყვავილის თაიგული, შიგ ანთებული სანთლებით. ანთებული სანთელი სულიწმინდის გარდამოსვლას მოგვაგონებს, ხოლო ყვავილები, მწვანე რტოები და ბალახები - იმ წმიდა განმაცხოვრებელ მადლს, რასაც სულიწმინდის მოფენის შედეგად ვიღებთ...

ტროპარი: კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო ჩვენი, რომელმან ყოველად ბრძანად შეგვგზავნი გადმოაჩინენ, მიჰფინე რა მათ ზედა ყოველწმიდა სული შენი, და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინაიერე, კაცთმოყვარე, დიდება შენდა.

ქანა ჩიქობანი

მარსხიანი დღე

ემიგრანტის დღიურები

დილით ჩვეულებისამებრ აღმდეგავიყავი. მეზობლად ებრალეობთან ბაღში საკმაოდ ბევრი სამუშაო მქონდა. გასხვლა, გაკრეჭა, ყვავილების დარგვა, კორდის შეკობტავება უკვე კარგად ხელმეწიფებოდა. წინა ღამის უძილობამაც ვერაფერი დამაკლო, პირიქით, უფრო ცინცხალი ვჩანდი. დილის ცხრა საათზე სუზანას ეზოში ჩემთვის ვფუსფუსებდი, ბუნებასთან სიახლოვემ მშობლიური სოფლის ცადავარდნილი მთები, წყაროს რაკრთან მოპაქეურ მარადისობა მომავლია. რწყავის ტოტებს შელამაზება დაეწევი, ოჯახის პატრონმაც ყავა გამომიტანა და მთხოვა, სამუშაო დღესევე დამესრულებინა, მერე თავისი ანგელოზები მიკრთავტობუსში ჩასხა და გზის კიბო გაუჩინარდა. ალბათ ორი საათი არ იქნებოდა გასული მარცხი, რომ მოუპატოქებლად მიწვია. ბასრი მაკრატელი ორ ყლორტს შუა ამოზრდილი კორძზე ამიცდა და საჩვენებელი თითის ნახევარი მიმათავლა. იჩქევა სისხლმა, ტკივილმა და მირბინა სხეულში, ამ შემთხვევით გამოწვეული თავსატეხებიც ელვისებურად დატრიალდა თვალწინ. რა ეშველება, დიდზეა გადაჩენილი?, ვფიქრობდი ჩემთვის, მერე მოვიხარე, იქვე ონკანი გავხსენი, პირველი წყლის ჭავლი გავატარე და საგულდაგულოდ მივუშვირე ტყავზე მოქანავე თითი. ნელ-ნელა დავცხრი, გულაჩუყება არ გავიკარე, გავმაგრდი, თითქოს არაფერი მომხვლია. ეს მაშინ, როცა ლონდონში სულ რაღაც სამი კვირის ჩამოსულმა თითქმის არაფერი ვიცოდი, საღამოს კი „კამდენ ტაუნის“, მაროკოელთა რესტორანში 4 დან 11 საათამდე უნდა მემუშავა

და იმაზეც ვიმტრევედი თავს, ვაითუ ახლად ნაბოფნი იმედის სამსახური დამეკარგა.

ყოველთვის მჯეროდა უფლის წყალობის. ზუსტად 10 წუთში სუზანა გამოჩნდა, სისხლიანი ხელის დანახვაზე დაბნეულმა მკითხა: „რა მოგვიდა?,“ „სასხლავმა მიმათავლა“- ვუთხარი გამწარებულმა და თან დავაძვირებდი- არაფერია სავანაგამო. - მე ექიმი ვარ! ხომ იცი? აბა, კარგად მაჩვენე, მითხრა სათვალადან გადმომხტარმა გაკვირვებამ. მერე სათუთად შემეხილა ჭრილობის გარშემო და ისევ გამიმეორა- გრძობ რაიმეს? მეც უარის ნიშნად თავი გაუქნიე და გაწვილებულმა მხერვა ავარიდე. სასწრაფოდ გასაკურია, „ჰამსტედ“-ის საავადმყოფოში უნდა წავიყვანო, იქ მოგხედავენ. არ ინერვიულო, მე შენზე ვიზრუნებ, - მითხრა მან დაღვრემილი თვალებით.

ჩემდა საუბედუროდ, საშინელ საცობში მოყვევით, ტკივილი უფრო აუტანელი ხდებოდა. ზამბიანი ნაჭერი გაჭრილ თითზე მეჭირა და განცდებს ვმალავდი. ნუ გეშინია, მალე მივალთ, ახლა ბახის ამ მუსიკას მოუსმინე და იფიქრე, თითქოს შენს საყვარელ შვილს ეთამაშებო, სარკიდან გამომხედა სუზანამ. ჰანგების საოცრებამ საქართველოში დატოვებული ჩემი ოჯახი გამაძვირებდა. მე კი უხეირო ფათერაკის გამო პირველსავე თვეს საავადმყოფოში მიმიყვანა განგების გამოცდამ. შენ ძლიერი ხარ, მოთმენა გმართებს, მამხნევებდა გული. ვცდილობდი, მყარად ვმდგარიყავი, ახლა ფარხმლის დაყრა მარცხს უდრიდა, არადა, ჩემს სიასხლოვეს ასეთ ცნებას არ გავაჭაჭანებდი. მე ხომ იდეის მოციქულებს ვაზიარე ჩემი ყოფა.

რის ვაი-ვაგლახით შევალწიეთ 12 საათისათვის უჩვეულოდ გადატვირთულ საავადმყოფოში. რეგისტრაციაში გამატარეს, მომხდარის ადგილი, დრო, გარემოება დააფიქსირეს. სუზანამ შემომხედა, ხელში 21-ე ნომრის ბარათი მომართო და დასძინა- ფრთხილად იყავი, რიგი არ გამოგეპაროსო, მერე საფულე გახსნა, 40 ფუნტი მომცა და სახლში აუცილებლად ტაქსით დაბრუნდიო მირჩია. იმ დროისათვის 2000 წლის ოლიმპიური თამაშები კარგად გახურებული იყო, იქვე ფართოკრანიახი ტელევიზორი იდგა მოსადგელში, მეც ახლოს მივცუტქდი და ქართველი სპორტსმენის შესაძლო გამორჩენას დაველოდე.

ჩემდა გასახარად, დიდხანს არ გასტანა ლოდინმა, ბატუტზე მსტოვლი რუსულან სოფერია გამოსასვლელად ემზადებოდა, გონება დავძაბე, ტკივილი გაქრა, სულით ხორცამდე მინდოდა მაშინ თანამემამულეს წარმატება. მან ნერვიულად დაიწყო, მერე გამოსწორდა და ღამაში იღეთების კასკადიც წარმოადგინა, მიდი, მიდი ვამხნევებდი გულიდან, მაგრამ უეცრად ფეხი დაუხსლტა და მოწყვეტილი დაეცა დაბლა. კიდევ ერთი ქართული მარცხი- ფფიქრობდი ჩემთვის, მერე ეკრანს ზურგი შევაქციე და გულში ლოცვას მოვეყვი, იქნებ მალე გამომიძახონ-მუთქი. ზუსტად ერთ საათში ფიქრისა თუ არის თავსმამში გაღმეპული ჩემი სხეული შევქირურგიულ მაგიდაზე გამოტეს, ლოკალური ანესთეზიით გამოიყურეს ჭრილობა და საგულდაგულად გამიკერეს. მერე ქერათმანი ინგლისელი შემოვიდა, ადგილობრივი უზნის ექიმისადმი მიმართვა გადმომცა, ტკივილგა-

მაყურებელი გამომიწერა და გამოჯანმრთელება მისურვა.

სასლამდე ტაქსით მივედი, კიბეებზე ნერვიულად ავირბინე, ახმედას (სახლის პატრონი) კატა აღერსის ხასიათზე იყო, მაგრამ ფეხი გადავაბიჯე, ოთახში შევედი, დიდი წვალბებით გამოვიცვალე სამუშაო ტანსაცმელი და იმ იმედით, რომ მაროკოელი მენეჯერი კოჭლი რამიდა მარცხისგან სამუშაოდან გამათავისუფლებდა, რესტორნისაკენ გავეშურე. მისვლისთანავე ცბიერლიმილიანმა ალმაიცევე შემოხედა და მკითხა: რა მოგივია პიტერ? ხომ არ იჩხუბე? არა, იცით, ახლა საავადმყოფოდან მოვდივარ პირდაპირ, თითზე 7 ნაკერი დამადეს, მაკრატლით გადავიჭერი- მორცხვად ავუხსენი. ფთხოვე, რომ ეს ერთი ღამე გავეთავისუფლებინე რადგან სამწიფი ტკივილები მქონდა. მან კი უნამუსო პირობა წამიყენა და აქეთ დამადანაშაულა: ორი საათით ადრე მაინც უნდა შეგეტყობინებინა, ახლა მე რა გიყო? თუ დღეს ვერ იმუშავებ, ჩათვალე, რომ დაემშვიდობე აქაურობას, ხომ იცი, თანაც შაბათია და რამდენი ხალხი მოაწყდება რესტორანს. გაგმრი, არჩევანი არ მქონდა, სამზარეულოში ჩავედი და დილის ცვლას მოწიწებით ვთხოვე, როგორმე ჩემ დაცვლად ემუშავა. ვირთხისთვალემა ეგვიპტელმა ტონიმ ქვა აავლო და თავი შეუშვირა- ეს რა არის, ძმაო, ნაკაწრი გაქვს და უნდა გაუძლო, ხალხი ომში სიკვდილს უყურებს თვალეში და დაჭრილები მაინც აგრძელებენ ბრძოლასო...

გაიძვერა კაცს გონებაში შვეკურთხე, მისი ნახევრად ირონიული ტონი დამცირებდა ჩავთვალე, თუმცა შურისძიება შემდგო-

მისთვის გადავდე. კიდევ ერთხელ გადავალაქს ქართულ სიამაყეს მოთმინების აბი, კიდევ ერთხელ მიჩუმათა თავმოყვარეობა. რა მექნა? ფხუკიანობას რწმენამდე აყვანილი წესრიგი ვარჩიე, ნაჭრილობებზე ხელზე რეზინის უშვერელი სელთათმანი გამოვიგე და იამიკელ ტერისთან ერთად შევიქნე წამებული საათი გავლიე. დაქანტულმა, სხვათა უსულგულობით გაოგნებულმა დავტოვე რამდის ჯოჯოხეთი- თურმე რას ნიშნავს უცხო მიწაზე უკეთესი მომავლის მაძიებელი ემიგრანტის ყოფა, თურმე როგორ გისაფრებდა ფათერაკი, როგორ ეგუებო, იყო ამტანი, რამდენი შეგძლებია მართლა... არ მტოვებდა ფიქრი.

სასლამდე ემოციადილი მივედი, კიბეები უხალისოდ ავიარე და საძინებლის მომცრო მაგიდაზე ჩემს სასწავლო ნივთებთან ერთად ლამაზად გაბანტული ბელგიური შოკოლადის ყუთი დავინახე. ფუთა გავხსენი და პატარა წერილი ვიპოვე- „ქვირფასო პატარა, ჩვენ- ჯოშუა, იოსი, პინანი, სელოდა და სუზანა ძალიან განვიცდით იმას, რაც ჩვენს ბაღში შეგემთხვა. ვფიქრობთ, შენ კეთილი ადამიანი ხარ და ღმერთი ამ მაგიურ შოკოლადის ფილებთან ერთად დაგეხმარება მალე გამოჯანმრთელებაში.“

„ადგულზე გავქვავდი, მერე სავარძელში ჩავეშვი, თავი ხელეებს შუა გამოვამწყვდიე და ავცრემლდი.“

დასაძინებლად დიდხანს ვიწვილე, ნაჭრილობები თითი ფეთქავდა, გული როკავდა, აზრი იწრთობოდა, ცას კი ისევ უმოწყალოდ სერავდნენ წვიმის მოციქულები.

ქანა ჩიქობანი